საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

# განკარგულება №49

2019 წლის 23 აპრილი ქ. ბათუმი

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ქ. ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს - ქ. ბათუმის კულტურის ცენტრს მიეცეს თანხმობა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებათა შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, სახალხო დღესასწაულის - „ბათუმობა 2019"-ის ფარგლებში გასართობი მომსახურების შესყიდვა 273 338 (ორას სამოცდაცამეტი ათას სამას ოცდათვრამეტი) ლარის ღირებულებით განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე

საქმისწარმოების დეპარტამენტი
№ 1